

Lia Tsereteli

ლია წერეთელი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

“The Swan Song” in Galaktion's Poetry
„გედის სიმღერა“ გალაკტიონის პოეზიაში

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10842>

The motif of the swan song and its symbolism in Galaktion's poetry is inspired by Akaki's verse. Akaki's “divine” hymns evoke a sense of the sacred and the sublime – a state of exalted inspiration. Alongside these “divine” hymns, Akaki also refers to the swan song, defining it as the song sung before death, which conveys the feeling of life's end and the proximity of death. Galaktion absorbed Akaki's poetic worldview from his earliest years. The dying swan's song, found in the poem “Me and the Night,” expresses precisely this sense of death and directly echoes the symbolic experience of the threshold so vividly portrayed in Akaki's poems.

Key words: Swan, Galaktion, Akaki, Poetry, Death

საკვანძო სიტყვები: გედი, გალაკტიონი, აკაკი, პოეზია, სიკვდილი

გედის სიმღერა და მისი სიმბოლიკა გალაკტიონის პოეზიაში აკაკის პოეზიით არის შთაგონებული. აკაკის „ზევსური“ საგალობლები გულისხმობს ღვთაებრივისა და ამაღლებულობის განცდას, ზემთაგონებას. „ზევსურთან“ ერთად აკაკი გედის სიმღერას ახსენებს და განსაზღვრავს, რომ ეს სიკვდილისწინა სიმღერა სიცოცხლის დასასრულსა და სიკვდილის შეგრძნებას მოიცავს:

„სიკვდილის წინედ ამზობენ,
აჭიკჭიკდება გედიო
და ტკბილ ჰანგებში იმარხვის
მისი არსების ბედიო.
უცნაურია გალობა
პირველ და უკანასკნელი!...
აქ იხატება ცის სივრცე,
აქვე ისახვის ქვესკნელი.
ორ-აზროვანი, ორ-კილო,
ერთის ხმის გამომეტყველი,
შემოქმედების ქებაა,
ცისა და ქვეყნის შემკვრელი!

საამაქვეყნო ზარია,
საიმქვეყნო ზევსური!
გედო! შევნატრი შენს ჭიკჭიკს,
შენგვარ სიკვდილსაც მეც ვსური!“

პოემაში „ნათელა“ კვლავ ზევსურთან ერთად ჩნდება გედის სიმღერა, ამჯერადაც ნატვრად:

„მე მაშინ მხოლოდ გავბედავ,
ხელი შევახო ჩანგურსა,
და მწარე ზარი ამ ქვეყნის
შევრთო იმ ქვეყნის ზევსურსა.
რომ მეც გალობით, გედივით,
დავაგდო ქვეყნის საზღვარი
ჩავდნე ჩემსავე ჰანგებში
და გავქრე, როგორც ლამპარი!“

აკაკის პოეტური აზროვნება გალაკტიონმა ყრმობიდან შეითვისა. მომაკვდავი გედის სიმღერა ლექსში „მე და ღამე“ სწორედ სიკვდილის განცდას ამკვეთრებს და ზუსტად იმეორებს აკაკის ლექსებში განსახოვნებულ ზღურბლის სიმბოლურ განცდას. „მოხუცის ლანდი“ აკაკის სიახლოვის განცდა და მისი „მეფური ძილი“ სწორედ ზევსური, პოეტური შთაგონების ძალით ცხადდება:

„და მეც მოვკვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად
ოღონდ ვთქვა თუ ღამემ გულში როგორ ჩაიხედა,
თუ სიზმარმა ვით შეისხა ციდან ცამდე ფრთები,
და გაშალა ოცნებათა ლურჯი იალქნები.
თუ სიკვდილის სიახლოვე როგორ ასხვაფერებს
მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს,
თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის, ამ ზღვამ რომ აღზარდა,
სიკვდილის გზა არრა არის, ვარდისფერ გზის გარდა.
რომ ამ გზაზე ზღაპარია მგოსანთ სითამამე,
რომ არასდროს არ ყოფილა ასე ჩუმი ღამე,
რომ აჩრდილნო, მე თქვენს ახლო სიკვდილს ვეგებები,
„რომ მეფე ვარ და მგოსანი და სიმღერით ვკვდები,
რომ წაჰყვება საუკუნეს თქვენგან ჩემი ქნარი....
ჯერ არასდროს არ შობილა მთვარე ასე წყნარი!“
(„მთაწმინდის მთვარე“)

„მთაწმინდის მთვარეს“ განმსჭვალავს გედის სიმღერა აკაკისეული საზრისით. თავად აკაკის პოეზიაში მას მითო-პოეტური და ფილოსოფიური ძირები აქვს. იგი ანტიკური პოეზიისა და მითოსის ხატსახოვნებაა. ამადაც ზუსტად არის ფორმულირებული გიორგი ლეონიძის მიერ აკაკის მოხსენიება „გედად და ორფეოსად“. ცნობილია, რომ გედი აპოლონის წმინდა ფრინველია, მუსიკისა და სიმღერის სიმბოლო. ასევე გედი არის აფროდიტეს, როგორც სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთის, ერთ-ერთი სიმბოლო. ოდისევსის ეპიზოდში ჰომეროსთან სირინოზები ცხადდებიან. სასცენო წარმოდგენით, როგორც თეატრალიზებული გააზრება, ქალწულები წარმოსდგებიან, სირინოზებზე მალლა დგანან და ცხადდება, რომ აქ სიმღერა ისმის, როგორც გედის ხმა ქსანთის ტალღებზე.. „გედის სიმღერას“ არისტოტელემ უწოდა „სიმღერა სიკვდილის წინ“, სოკრატემ განსაზღვრა, რომ გედი წინასწარ გრძნობს, რაც შემდეგ, სხვა სამყაროში მოელის და ამას გამოხატავს „სიმღერით“, პლატონმა „გედის სიმღერას“ „სევდიანი“ უწოდა. ოვიდიუსის „მეტამორფოზები“ განსახოვნებს მას და ამკვიდრებს გედის სიმღერის, როგორც ორი სამყაროს, ორი განზომილების

ზღვარზე ყოფნის ხატ-სახეს, სიკვდილ-სიცოცხლის კარიბჭეს და განცდას, რომელიც უკეთესი სულიერი მყოფობის წინასწარგანწყობას გამოხატავს სიმღერით. საფოს პოეზიაში „გედის სიმღერა“ „ცრემლები“ არის მწუხარების, სიკვდილის გამომხატველი. სიმღერა არ არის სასიამოვნო და ხალისიანი, მხოლოდ სევდა და მწუხარება სიცოცხლის დასრულების გამო. ანტიკური პერიოდიდან ამგვარი პოეტური საზრისი აქვს „გედის სიმღერას“.

შუასაუკუნეობრივი საღვთისმეტყველო სააზროვნო სისტემა არ აფართოებს გედის სიმღერას, როგორც სიმბოლოს, სახისმეტყველებას. რუსთაველი არ ახსენებს მას. არც დანტესთან ვხვდებით, არც იგავური საზრისი აქვს მას. საინტერესაო, რომ უფრო დასავლური სამყარო ინარჩუნებს ამ ანტიკურ ტოპოსს. აღმოსავლეთი ნაკლებად გამოსახავს. საგულისხმოა პლატონის კომენტარების ფლორენციელი მღვდელმსახურის მარსილიო ფიჩინოს სიღრმისეული საღვთისმეტყველო ანალიზი, პლატონისგან შთაგონებული ის პოეტურ შთაგონებას მუზას მიაწერს, მუზა ღვთაებრივი შთაგონებაა, ჭეშმარიტების წვდომის ალეგორია, ანუ ღვთაებრივი მადლის საზრისი. იგი საუბრობს განწმენდაზე მადლის მიღებამდე და მას გედის მითს უკავშირებს ანტიკური სამყაროდან. გედის სიმღერას „ზნობრივ განწმენდას“ უწოდებს, განწმენდას „სიშლევის“ განცდის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევს.

რომანტიკულ და სიმბოლისტურ პოეზიაში არ კარგავს „გედის სიმღერა“ ცხოველყოფილებას. მას ანტიკური საზრისი შენარჩუნებული აქვს.

ჰოლდერლინი გედის სიმღერას მწუხარებად, სიკვდილის შიმის განცდად და სევდიან ჰანგად წარმოსახავს. რონსარის მიხედვით, პოეტური ნიჭი აღვივებს სიშმაგეს. პოეტის სული აპოლონის გედივით სპეტაკია. მუზით შეპყრობილობა და გამოღვიძებაა გედის ჰანგი.

მალარმეს „გედის სონეტი“ აქვს, რომელშიც „თეთრი აგონია“ სუფევს. სიცივე, რომელშიც „სიკვდილის მახვილი ილესება“.

ეს მასალა პიერ ბრუნელის მიხედვით არის წარმოდგენილი.

გედისა სიკვდილის წინ სიმღერა ავანგარდისტულ პოეზიაში გამოიკვეთა. 10-იანი წლების პოეტები ამ სახე-სიმბოლოს იყებნენ. „გედის სიმღერის“ პირველ მახსენებლად კ. ნადირაძე მიიჩნევა:

„არის ინტიმი: მალარმეს „გედი“
და იმერეთში თამარის ხიდი“.....

ტიციანის სტრიქონები:

„ვიგონებ ამ დროს, როცა შევხვდით მართლა ლოენგრინს,
თეთრი ვაშლის ხე თეთრ ხიდებზე მოსცურდა გედი“.

ნათელია, რომ „გედის სიმღერა“ ამ სტრიქონებში პოეტების ზემთაგონებით სულიერთან წვდომას მიუთითებს. ხიდი მიწიერის სულიერ სამყაროსთან დამაკავშირებელი სიმბოლოა.

გალაკტიონთან „გედის სიმღერა“ ფილოსოფიურ ლირიკის ნაწილია:

„შორეული ქალის ეშხი
მოვა, მაგრამ როდის?
სიყვარული სასახლეში
მხოლოდ ერთხელ მოდის!
ასეთია ნაზი ბედი,
ბედი რჩეულ ფერის,
სიცოცხლეში თეთრი გედი
მხოლოდ ერთხელ მღერის....“
(„მოვა... მაგრამ როდის?“)

რუსულ პოეზიაში გედის სიმღერამ „ტბის“ ლანდშაფტი დაიმკვიდრა და ხელოვნების ყველა სფერო მოიცვა (ჩაიკოვსკის „გედების ტბა“, ასევე ფერწერა).

ლ. ანდლულაძე წიგნში „რუსთველით აღდგენილი სიამაყე“ გედის სიმბოლოს ბლოკის შემოქმედებიდან მომდინარედ მიიჩნევს, რომ გალაკტიონმა, სიმბოლისტების მსგავსად, ბლოკის ლექსებსა და დრამებში გაიგნო გედის სიმბოლიკა:

„მომაკვდავი თეთრი გედი, რომელიც სიკვდილის წინ მღერის რამდენიმე ემოციური დეტალით ერთიანდება: გედის სიმღერა და სიყვარული სიცოცხლის დასასრულს. „მომაკვდავი თუ თეთრი გედის“ სახე ასევე „შორეული ქალიც“ ბლოკის ლექსებსა და დრამებშია („ПЕСНИ СУДБИ“, „ПОЗА И КРЕСТ“). ისინიც ათიანი წლების დასასრულს შეიქმნა. ქართველი სიმბოლისტები იცნობდნენ მას წიგნიდან და სცენიდანაც და გაითავისეს... გალაკტიონის შედეგური „სილაჟვარდე“ და „ვარდი სილაში“ სათაურიდანვე ბლოკზე მიუთითებს. ამ თემაზე გალაკტიონს რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი. „აღარ არის მენესტრელი“, რომლის ავტოგრაფზე მასვე აქვს მითითებული „აღლექსანდრე ბლოკი“. „სილაჟვარდეში“ „აჰა! მოვედი: გედი დაჭრილი, ფრთების ცახცახით“ დაჭრილი გედი“ ბლოკისეულია, „მომაკვდავი“ გალაკტიონისეული“.

რ. ბურჭულაძე მოგვაგონებს, რომ XIII საუკუნის მინეზინგერის კონრად ველცბერგელის „გედის რაინდი“ ნათელს ჰვენს გალაკტიონის ტროპს. პოეტის უსისტემოდ გაკეთებულ შენიშვნებში მინაწერია, მათ შორის „მწუხარე გედის ორდენი“ (ანდლულაძე, 2008, გვ. 47).

გალაკტიონის პოეზიაში გედის სახე ვიდრე ტბას, სიმღერასა და სიკვდილს შეერწყმოდა, თავდაპირველად, ვფიქრობთ, შემოდგომასა და ცეცხლს მიესადაგა. ლექსში „დგება შემოდგომა“ ამგვარი გააზრებაა:

„გუგუნებს ალი მხიარულ ბუხრის,
მაფიქრებს ალი და ვწვავ წერილებს,
კიდევ ედება გედები მწუხრის
გედებს ცეცხლისკენ გადაღერილებს.
რაც უფრო შორს ხარ, ძვირფასო დროო,
უფრო სავსეა გზა ამ გედებით,
და სიყვარული, ვით ვატერლოო,
მოფენილია ამ იმედებით“.

„გედები მწუხრის“ და „გედებს ცეცხლისკენ გადაღერილებს“ თითქოს ერთმანეთთან აერთებს ბუხრის ალი, როგორც გარეგანი და შინაგანი. მწუხრისეული, რეალური და პოეტის სულისმიერი, შინაგანი. შემოდგომის სევდით გაღვივებულია ეს მთლიანობა. გედები აერთიანებს დროისა და სივრცის აღქმას („ძვირფასო დროო“) და („სავსეა გზა ამ გედებით). „სიყვარული“ და „იმედი“ ღვთაებრივი მაღლის მოფენად აღიქმება ლექსში. „სიშორის“ განცდა კოსმიურ დროში შეაღწევს და უკუსვლით წარსულს უახლოვდება, რასაც „ვატერლოო“ აღნიშნავს.

საინტერესოა ფერთა სიმბოლიკა. გედი თეთრი ფერის, ვითარცა დღე, ნათელი, ასევე შავი გედი, ღამისა და სიბნელის, სიკვდილის ფერი. ორივეს სიმღერა ურთიერთსაპირისპირო სამყაროების ზღურბლს აღნიშნავს. სიკვდილის კარიბჭეს და სიცოცხლესთან გზაგასაყარს სიმღერით, ჰანგით გადმოსცემს.

ეპოქის ეს სურნელი იგრძნობა გალაკტიონის პოეზიაში. აკაკის შთაგონებით, რუსული პოეზიისა და მუსიკის, ფერწერის გააზრებით, ასევე ფრანგული პოეზიის, სიმბოლისტების გავლენით გალაკტიონი თავის პოეტურ წარმოდგენას სრულქმნის. მისი ხატსახოვნება და ფერთამეტყველება მკვეთრად გალაკტიონისეულია.

„ტბის სევდიან გედად“, „გედი დაჭრილი ოცნების ბაღით“, „მომაკვდავი გედის ჰანგთა ვარდებს და ჩანჩქერებს“ ეს მისი პოეტური სახეებია. და რაც მთავარია, გალაკტიონი, როგორც პოეტი გედს ედარება და სიკვდილის პირისპირ დგას, ქნარს ამეტყველებს სიკვდილის განცდა და სიცოცხლიდან სიკვდილის განჭვრეტილი სავალი „ვარდისფერი გზა“, არა შიში და მწუხარება, არამედ სიკვდილის ძლევა და სიხარულის, შვების განცდა. მართალია „მგოსანთ სითამამე“ სიკვდილის წინაშე ილუზიაა, არარეალობა, ანუ ზღაპარი, რომელიც „იყო და არა იყო რა“ და მხოლოდ პოეტური წარმოსახვის ძალით არსებობს, ანუ პოეტური შთაგონება აძლევს ამ ძალას მგოსანს და არა

რეალობა. ანუ, ქნარი. სიმბოლო პოეტური შთაგონებისა და მუზისა, ამგვარად გაიაზრება გედის ჰანგად. გალაკტიონი საღვთისმეტყველო საზრისს რთავს ლექსში და ზღვა წუთისოფლის სახე-სიმბოლოდ წარმოსდგება, ზღვა გედის სამყოფია, პოეტის სულს კი წუთისოფელი ჰქმნის (თუ როგორ ვგრძნობ, რომ სულისთვის ამ ზღვამ რომ აღზარდა“) ანტიკურ სახე-სიმბოლოებს, ბუნებრივად ერთვის სულის სარწმუნოებრივი გააზრება, ზღვის, როგორც წუთისოფლის, განსაცდელისა და მიწიერების საუფლოს განცდა, ამასთან კოსმიური საზრისი. სამყაროს შესაქმისეული არსი. გედის სიმღერა გალაკტიონთან მეფურობის, მგოსნობისა და სიმღერის განუყოფლობად, ერთ მთლიანობად გაიაზრება. მეფურობა არა მხოლოდ ხელმწიფობის, მკვიდრობის სიმბოლოა, ის ადამიანურობის საღვთო გააზრებაა- ადამიანი შესაქმისეული გვირგვინია, ის მეუფებს ყველა სხვა სულიერ და ღვთისგან შექმნილ სამყაროში.

ამრიგად, „გედის სიმღერა“ გალაკტიონის პოეზიაში აკაკის პოეტური ქნარის მემკვიდრეობაა და გალაკტიონს ის სხვა სიმაღლეზე აჰყავს, საკუთარ პოეტურ შთაგონებად აქცევს და პოეტური სამკაულებით ამკობს, ფერთამეტყველებით სრულქმნის.

ემიგრანტულ პოეზიაში გედის სახე-სიმბოლო ინარჩუნებს ნაცნობ სიმბოლიკას. გიორგი გამყრელიძის ლექსში „სიმონიკა ბერეჟიანის ხსოვნას“ ვკითხულობთ:

„თუმც არ გიჟღერა ხანგრძლივად ჩანგმა
გადანერგულო ალვა, ობოლო,
მინც გაშალე, ვით ფარშევანგმა
შენ შაირების მარაო, ბოლო.
და გაჰქრი უკვლოდ, არც კი მოგესმა
უკანასკნელი სიმღერა გედის.
და ვფიქრობ: იქნებ წაგიღო ზევსმა
ცოცხლად ოლიმპზე, ვით განიმედი“.

ფარშევანგი პოეზიის სიმბოლოა, წარმოსახვის ძალა. გედის სიმღერა კი სამშობლოდან შორს გარდაცვალების სიმბოლოა, რაც არწივად გადაქცეული ზევსის მიერ მოტაცებად არის აღქმული. ლექსში „ლურჯი მონოკლი“ წარმოდგება ცეცხლსა და კვამლში გახვეული ქალაქი:

„მე დავინახე ზღვა ლანდებში ნილოსის გედი-
ფიქალის მკერდზე რომ იჯენდა საშინელ ასპიდს.
მე შევამჩნიე აჩრდილებში იესოს გავლაც.
არვის შველოდა (თუმც უხმობდნენ მას გამალებით).

ორი სამყარო ერთიანდება ძველი, ეგვიპტური მისტერიალური სიბრძნე, რომელსაც განასახიერებს ნილოსის გედი ასპიდით მკერდზე და ახალი სარწმუნოება „იესოს გავლა“.

ძველი მომაკვდავია, ბელზებელი დაცემულია, მაგრამ ვერ შველის ახალი სარწმუნოება. ნილოსის გედი აქაც სიკვდილის სახე-ხატია. ლურჯი მონოკლი ახალი რეალობის სიმბოლოდ გაიაზრება. ორივე ლექსი შეტანილია კრებულში „გვიანი რთველი“.

ამრიგად, ემიგრანტული პოეზია ინარჩუნებს გედის სიმღერის სიმბოლურ საზრისს, მხოლოდ ამჟღავნებს სამშობლოსთან განშორების სევდითა და მწუხარებით, უცხო მიწაზე სიკვდილი გედის სიმღერას ტრაგუკულ განცდას მატებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანდლულაძე, ლ. (2008). რუსთველით აღდგენილი სიამაყე, „მწერლის გაზეთი“.
გამყრელიძე, გ. (2011). გვიანი რთველი, თბილისი: „საარი“.
ტაბიძე, გ. (1982). რჩეული, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
დალანიძე, მ. (2002). ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, თბილისი: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

References:

- Andghulaze, L. (2008). Rustvelit aghdgenili siamaq'e. [Pride Restored by Rustaveli]. "Writer's Newspaper".
- Gamq'relidze, G. (2011). Gviani rtveli. [Late Harvest"]. Tbilisi: "saari".
- Ghaganidze, M. (2021). Lit'erat'ura, k'ult'ura, religia. [literature, Culture, Religion]. Tbilisi: The National Parliamentary of Georgia.
- T'abidze, G. (1982). Rcheuli lit'erat'ura. [Selected Works]. Tbilisi: "Soviet Georgia".